

**მოსაზრებები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების  
საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში  
მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფისათვის  
აუცილებელი მექანიზმების შესახებ**

---

„ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“ მთავრობის 2013 წლის 9 ივლისის №775 განკარგულებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში, „საბჭო“) სამდივნოს (იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის) კოორდინაციით, დაევალა, შესაბამის სამთავრობო დაწესებულებათა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობითა და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, მთავრობას წარუდგინოს **მოსაზრებები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მექანიზმების შესახებ.**

მოქალაქეთა ჩართულობა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი მიმართულებაა. გეგმის თანახმად, საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს, გაზარდოს მოქალაქის მონაწილეობის შესაძლებლობები აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში, რისთვისაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები.

აღსანიშნავია, რომ რიგ საჯარო დაწესებულებებს დანერგილი აქვთ მოქალაქეთა მოსაზრებების მიღების ელექტრონული მექანიზმები: მაგალითისთვის, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდის მეშვეობით მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, საკანონმდებლო აქტთან ან კანონპროექტთან <sup>1</sup> დაკავშირებით გამოთქვან კრიტიკა, შეფასებები ან წარმოადგინონ უკეთესი რეგულირება. მოსაზრებების მიღების ფუნქცია აქვს, ასევე, პორტალს – my.gov.ge, და სხვა.

**კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ** (იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა) გამართა სამუშაო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ამ საკითხზე.

**საბჭოს ფარგლებში** ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის პროგრამის (G3) მხარდაჭერით 29 ივლისს გაიმართა მრგვალი მაგიდა ღია მმართველობის პარტნიორობისა და მოქალაქეთა ჩართულობის

---

<sup>1</sup> ამ ეტაპზე ვებ-გვერდზე ხდება მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტების განთავსება.

თემაზე. მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ საჯარო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე, მოწვეული უცხოელი ექსპერტები. შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა წარმოადგინეს რეკომენდაციები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მექანიზმების შესახებ.

სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების საფუძველზე იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მექანიზმების შესახებ მოამზადა შემდეგი მოსაზრებები:

## **1. მოქალაქეთა ჩართულობის განსაზღვრა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად**

მნიშვნელოვანია, რომ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ განისაზღვროს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, რათა შემუშავდეს ერთიანი კოორდინირებული და დეტალური გეგმა, მოქალაქეთა მონაწილეობის რეალური მექანიზმების უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყოს შესაბამისი ადმინისტრაციული და საბიუჯეტო რესურსი და მოხდეს ამ ღონისძიებათა იმპლემენტაცია.

## **2. მოქალაქეთა ჩართულობის პორტალის შექმნა**

მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად სასურველია, არსებობდეს მოქალაქეთა პლატფორმა (მაგალითად, [ichange.ge](http://ichange.ge)), რომელიც ღია იქნება საზოგადოებისთვის საყურადღებო საკითხების განსახილველად და მოქალაქეთა მიერ იდეების განსათავსებლად. სასურველია, ამავე პორტალის მეშვეობით მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა, განათავსოს **ელექტრონული პეტიცია**, შეაგროვოს მხარდამჭერები და ამ გზით მოითხოვოს რეაგირება კომპეტენტური ორგანოსგან, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებული იქნება, **დაიწყოს პეტიციის განხილვა**, თუკი ამ პეტიციას ეყოლება მხარდამჭერთა განსაზღვრული რაოდენობა. მიზანშეწონილია, ამავე სივრცეში არსებობდეს მექანიზმი, რომლის საშუალებით მთავრობა, სამინისტრო ან სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულება გამოაცხადებს **საჯარო კონსულტაციას** კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და მოუწოდებს მოქალაქეებს, ჩაერთონ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით პოლიტიკის შემუშავებაში.

მოქალაქეთა პლატფორმის შემუშავებისას დეტალურად უნდა განისაზღვროს, თუ რა **მოცულობის ადმინისტრაციული რესურსი** იქნება საჭირო პლატფორმის

ადმინისტრირებისთვის და რომელი უწყება იქნება პასუხისმგებელი ადმინისტრირებაზე. რეკომენდებულია, პლატფორმაზე მუშაობდეს პროფესიონალთა სპეციალურად დაკომპლექტებული გუნდი.

### **3. პორტალის ადმინისტრირებისათვის საჭირო რესურსი**

---

მოქალაქეთა ჩართულობის პორტალის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია, არსებობდეს პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც მართვასა და ადმინისტრირებას გაუწევს აღნიშნულს. საჭიროა ისეთი ადამიანური რესურსების მობილიზება, რომელთაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და საჭირო უნარ-ჩვევები, ტექნიკურად სწორად წარმართონ პროცესები, რაც, თავის მხრივ, პორტალის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. მიზანშეწონილია კოორდინირება მოხდეს სამთავრობო დონეზე.

### **4. მოქალაქეთა ჩართულობა საკანონმდებლო პროცესში - ელექტრონული დემოკრატიის პროექტი**

---

ელექტრონული დემოკრატიის პროექტი მიზნად ისახავს ფართო საზოგადოების ჩართვას კანონმდებლობის შექმნისა და იმპლემენტაციის პროცესში. პროექტი ინტერნეტის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, გამოხატონ თავიანთი აზრი საქართველოს კანონმდებლობასა და კანონპროექტებთან დაკავშირებით.

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა მარტივი და მომხმარებელზე ორიენტირებული პლატფორმა მოქალაქეთა კომენტარებისათვის, რაც ონლაინდისკუსიის გამართვის საშუალებასაც იძლევა. პროექტი ითვალისწინებს რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ სამართლებრივ აქტებსა და მათ სტრუქტურულ ელემენტებზე (კარი, თავი, მუხლი) კომენტარების გაკეთების შესაძლებლობას, აგრეთვე, სხვა მომხმარებლის მიერ დატოვებული კომენტარების მოწონებისა და მათზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას.

ამ ეტაპზე კომენტარებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტები. სასურველია, ვებგვერდი არ შემოიფარგლოს მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტებით და მასზე კომენტარებისთვის ხელმისაწვდომი იყოს სხვა შესაბამისი საჯარო დაწესებულებების მიერ შემუშავებული კანონპროექტები.

მნიშვნელოვანია პარლამენტისა და სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ თანამშრომლობა, რათა შესაბამის ვებგვერდზე მოქალაქეთა კომენტარებისთვის განთავსდეს ყველა კანონპროექტი, რომლებიც ინიცირებულია და განიხილება პარლამენტში.

მნიშვნელოვანია, შეიქმნას და დაიხვეწოს შემოსული კომენტარების დამუშავების მექანიზმები და ამისათვის გამოიყოს სათანადო ადმინისტრაციული რესურსი, რათა

დამუშავდეს შემოსული მოსაზრებები და ხელმისაწვდომი გახდეს შესაბამის სფეროში გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის. ამავე დროს, უნდა შეიქმნას საზოგადოებასთან უკუკავშირის მექანიზმებიც, რათა მოქალაქეებმა მიიღონ გარკვეული ფორმით გამოხმაურება იმის თაობაზე, თუ როგორ იქნა განხილული და მხედველობაში მიღებული მათი მოსაზრებები.

სასურველია განხილულ იქნეს საზოგადოების ჩართულობის არალექტრონული ფორმებიც, მაგალითად რეგულარული საჯარო განხილვების მოწყობა.

## 5. საჯარო ინფორმაციის ერთიანი პორტალი (DATA.GOV.GE)

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება, შექმნას საჯარო ინფორმაციის ერთიანი პორტალი, რომელზეც პროაქტიულად გამოქვეყნდება საჯარო დაწესებულებებში არსებული საჯარო ინფორმაცია. ამავე პორტალის მეშვეობით მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვა.

მსგავსი ტიპის პორტალი წარმატებით ფუნქციონირებს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში და ინფორმაციის თავისუფლების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად მიიჩნევა.

ამ ვალდებულების იმპლემენტაციის მიზნით, საბჭოს კოორდინაციით, იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმთან კონსულტაციებით შემუშავდა, საპილოტე რეჟიმში გაშვებულია და შემდგომ დახვეწასა და დანერგვას საჭიროებს **data.gov.ge** – საჯარო ინფორმაციის ერთიანი პორტალი.

საბჭოს 2012 წლის 21 აგვისტოს სხდომაზე მოხდა ამ პორტალის კონცეფციის პრეზენტაცია. სამუშაოს ძირითადი ნაწილი დასრულდა 2012 წლის ოქტომბერში. 2013 წლის 25 იანვრის საბჭოს სხდომაზე კი წარმოდგენილ იქნა შემუშავებული და პილოტურ რეჟიმში გაშვებული პორტალი და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვის მოდულის კონცეფცია. პორტალზე განთავსებული ინფორმაცია დახარისხებულია 12 მარტივი თემატური კატეგორიის მიხედვით, რაც მოქალაქეს გაუადვილებს მისთვის სასურველი ინფორმაციის მოძიებას. 12 კატეგორიის შიგნით ინფორმაცია ჩაშლილია, ასევე, თემატურ კატეგორიებად. საიტი მუშაობს პილოტურ რეჟიმში ქართულსა და ინგლისურ ენებზე. მზადაა საინფორმაციო კლიპი და 3 მოკლე ვიდეორგოლი საიტის პოპულარიზაციისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ **data.gov.ge** ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა წარმატებული ქვეყნების მაგალითების მსგავსად, განვითარდეს და ჩამოყალიბდეს საჯარო ინფორმაციის გვერდად, რომელზეც ხელმისაწვდომი იქნება სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესისათვის გამოყენებადი მონაცემთა ბაზები.

რეკომენდებულია, ამავე პორტალზე დაინერგოს ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვის ერთიანი მოდული, რომელიც მოქალაქეს საშუალებას მისცემს, ელექტრონულად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია.

საჯარო ინფორმაციის ერთიანი პორტალის დასანერგად მნიშვნელოვანია კოორდინაცია და საჯარო დაწესებულებების ერთიანი ძალისხმევა, სათანადო ადმინისტრაციული რესურსის გამოყოფა ამ მიზნით და პარტნიორი საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა. პორტალის დაცულობას უზრუნველყოფს მონაცემთა გაცვლის სააგენტო.

## **6. მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში - მონაწილეობითი დემოკრატიის განვითარება**

მნიშვნელოვანია, არსებობდეს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მოხდება მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა არა მხოლოდ ცენტრალური, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც. სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს კოლეგიურ ორგანოებში (თვითმმართველობები) მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას. უფრო მეტიც, მნიშვნელოვანია თავად მოქალაქეებისგან მოდიოდეს ინიციატივები და უზრუნველყოფილი იქნეს მათი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ყოველივე აღნიშნული ხელს შეუწყობს მონაწილეობითი დემოკრატიის განვითარებას ადგილობრივ დონეზე.

ამ მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობისა და კონსულტაციის ფორმატში ტრენინგ-პროგრამების ორგანიზება (მუნიციპალიტეტებში/სოფლებში), რომლებიც უზრუნველყოფს მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერების დონის ამაღლებას ისეთ თემებზე, როგორცაა მაგალითად: საკრებულოს გადაწყვეტილებათა გასაჯაროების ფორმები; გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვის პროცედურები და ვადები; გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლში მოქალაქეთა მონაწილეობის ვადები და პროცედურები; ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა (მათ შორის, ბიუჯეტის) განხილვის პროცესში საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობა და სხვა.

## **7. ელექტრონული ჩართულობის სტრატეგიის ერთიანი დოკუმენტი**

სასურველია, პროცესების სტრუქტურულად სწორად წარმართვის მიზნით არსებობდეს ელექტრონული ჩართულობის სტრატეგია, როგორც ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც აისახება, თუ რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო მთავარი მიზნის მისაღწევად, ვინ რა მოცულობით არის პასუხისმგებელი თითოეული ღონისძიების განხორციელებაზე. სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება მნიშვნელოვანია, მოხდეს საზოგადოებასთან, ორგანიზაციებთან, ბიზნესსექტორსა და პოლიტიკურ ჯგუფებთან ერთობლივი მუშაობისა და კონსულტაციების შედეგად. მნიშვნელოვანია, შემუშავდეს უკუკავშირის ფორმები და საჭირო რესურსები, რაც მოქალაქეთა ჩართულობის ტექნიკური უზრუნველყოფისთვისაა საჭირო.

## 8. საინფორმაციო კამპანია მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ

---

საზოგადოების რეალური და ფართო მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი საინფორმაციო კამპანია.